

ლადო კავაძე მხარს იჭირებს ოპოზიციას უჭერს

როცა „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ აფინანსებდა პატარაკაციშვილი,
მაშინ არ იყო ოლიგარქი?

გაზეთი „ახალი თაობა“, 6 ნოემბერი, № 306, 2007

ინტერვიუ უმრავლესობის წევრ ლადო კავაძესთან

— ბატონო ლადო, როგორ შეაფასებთ პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებს და თქვენი აზრით, რამ გამოიყვანა ეს ხალხი ქუჩაში?

— აქ ხაზი ორ მომენტს უნდა, ერთია მიზეზი, მორე — საბაბი. მიზეზი ის არის, რომ ხალხს დაუგროვდა უკმაყოფილება წლების განმავლობაში. მიუხედავად ამისა, რომ პოსტრეფორმაციურმა ხელისუფლებამ მართლაც ბევრი რამ გააკეთა, თუნდაც ის, რომ ქვეყანა ენერგეტიკული კრიზისიდან გამოიყვანა; თუნდაც ის, რომ ბიუჯეტი რამდენჯერმე გაზარდა და პენსიების და ხელფასების დაგვიანება აღარ არის, მიუხედავად ამისა, დაგროვდა გარკვეული უარყოფითი მუხტი. უარყოფითი მუხტი დაგროვდა იმ შეცდომების შედეგად, რაც დაკავშირებული იყო ძალიან ბევრ რამესთან. მაგალითად, ავიღოთ ე.წ. ფსევდორეფორმები, როდესაც რიგი ინსტიტუტები ინგრეოდა რეფორმის საბაბით. შორს არ წავალ, ზაფხულის მოვლენებს გეტყვით, რომელიც სპორტის აკადემიასთან დაკავშირებით განვითარდა. კარგად გამოგეთ, ის, რომ სპორტის აკადემია არ ყოფილიყო ცალკე და შეერთებოდა ჭავჭავაძის უნივერსიტეტს, ტრაგედიას არც მე არ ვხედავდი. მაგრამ რატომ უნდა დაეცალათ ტერიტორია მაინცდამაინც ვაკეში და რატომ ჰქვია ამას რეფორმა? რატომ უნდა დაეცალა სპორტის აკადემიას ვაკეში შენობა, სადაც ყველაფერი იყო გაწყობილი სპორტსმენების მოსამზადებლად, უკვე ბაღებს ეჭვს — ეს ნომ რეფორმა აღარ არის. უბრალოდ, ხელისუფლებას გასაყიდად ტერიტორია სჭირდებოდა. სპორტის აკადემია კი ვაკეში ბრწყინვალე ადგილზე იყო. შემიძლია ბევრი სხვა მაგალითი მოვიყვანო ასეთი ინსტიტუციონალური რღვევის, რომელსაც ვითომ რეფორმა ჰქვია, სინამდვილეში კი სულ სხვა მიზეზით

მონდა ყველაფერი. შექმდე არის განაწილებული ხალხი: ის ხალხი, რომელმაც დაკარგა სამუშაო ადგილები; ის ხალხი, რომელსაც თავს საღარო-აპარატები მოახვიეს; ის ხალხი, რომელსაც ჩამოართვეს ქონება; ის ხალხი, რომელიც თავს შეურაცხყოფილად გრძნობს უბედურს სასწავლებლებში თუ სამეცნიერო წრეებში; ის ხალხი, რომელსაც უწოდეს ჩარეცხილები. ეს ყველაფერი დაგროვდა. ეს არის მთავარი მიზეზი, ეს არის სოციალური მიზეზი. რაც შეეხება საბაბს, საბაბი მარტივია. საბაბად გამოდგა ბატონი ოქრუაშვილის გამოსვლა, რომელმაც დეტონატორის როლი შეასრულა, ბოლო ბიძგი მისცა და ხალხი ქუჩაში გამოიყვანა. ასე რომ, ნუ ვიტყვით იმას, რომ მართო ოქრუაშვილის გამოსვლამ გამოიყვანა ეს ხალხი ქუჩაში. კარგად გამოგეთ, ოქრუაშვილი ნამდვილად აღარ იმსახურებს იმას, რომ შერაცხული იქნეს ლიდერად და გმირად. იმიტომ, რომ თუ რამე შეცდომებს უშვებდა სააკაშვილის მთავრობა, ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და მოქმედი გმირი, სწორედ ირაკლი ოქრუაშვილი იყო. მართალია, მისი ტელეგამოსვლა მონანიებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ზუსტად ასევე მან შექმდე მონანია ის, რაც ორიოდე დღის წინ მოინანია. მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დღეს ჩვენი საზოგადოების რეაქცია არის იმ უსამართლობებზე, ღირსების შელახვაზე, შეურაცხყოფის განცდაზე, რაც ხალხს დაუგროვდა.

— არ უნდა ვფიქრობ ხელისუფლებას, რომ ასეთი უარყოფითი მუხტი ასეთ სერიოზულ საპროტესტო ტალღას გამოიწვევდა?

— მე ვფიქრობ, ეს ის თემაა, რომელზეც ყველას უნდა ვფიქრობ. იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან, ეს დადგებოდა. ჩვენთან პერმანენტულად იმართებოდა გამოსვლები. უფრო ფართომასშტაბიანი იყო 2001 წლის ადრე გაზაფხულზე, როდესაც საღარო-აპარატებთან დაკავშირებით გაიმართა. იყო ცალკეული გამოსვლები სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა, მათ შორის ომის მონაწილეების, უნივერსიტეტის პროფესორების. სასამართლო პროცესები ავიდოთ და განმაურებული მკვლელობები, იგივე სანდრო გირგვლიანის და ბუტა რობაქიძის კი, სასამართლომ გამოიტანა განაჩენები, რიგი პირები დანაშაულში დაადანაშაულა და სასჯელიც მიუსაჯა პირებს, რომლებიც არიან შექმნულელები, მაგრამ საზოგადოებაში ჯერაც არ არის განცდა იმისა, რომ ეს

საქმეები დასურულია. მოკლედ, დაგროვდა საზოგადოებაში პროტესტი და ამას ყველა ხედავს. მინდა ვითხრა, რომ 2 ნოემბერს პარლამენტის წინ აქციაზე მივედი. მაინტერესებდა ხალხის განწყობა, მინდოდა გამეგო, რას ფიქრობდა, რა აწუხებდა. თითოეულ მიტინგზე მოსულს აქვს თავისი გაჭირვება. მაგრამ ყველაფერ ამის მიზეზს ხედავს იმ უსამართლობაში, რომლის განცდაც აქვს, რომ ხელისუფლებიდან მოდის. აი, ეს არის ყველაზე მთავარი პრობლემა. რა თქმა უნდა, პარლამენტის წინ ხალხი სხვადასხვა მიზეზის გამო შეიკრიბა. უსამართლობამ და ყველაფერმა იმან, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, ხალხი ქუჩაში გამოიყვანა.

– ბატონო ლადო, ამ პროცესს ხელისუფლება ისე წარმოაჩენს, რომ ხალხი ქუჩაში პატარკაციშიღლის ფულებმა გამოიყვანა, თბოზიცია კი ნაციონალების ხედვით – ბადრი ბოძაა ჯიბეში ჩაისვია. ხელისუფლება ამ დევების განმავლობაში საზოგადოებას უმტკიცებს, პატარკაციშიღლოს სურს სააკაშიღლის ხელისუფლება გაუყოსო...

– მოდი, ასე ვთქვათ. მე, ცოტა არ იყოს, არ მესმის ასეთი განცხადებები. პატარკაციშიღლის შეიძლება ჰქონდეს თავისი ამბიციები. ჩემთვის ეს გასაგებია ისევე, როგორც თითოეულ მოქალაქეს აქვს თავისი ამბიციები. უბრალოდ, მოქალაქეს, რომელსაც ფინანსებიც აქვს, მისი ამბიციაც მეტია. თავის დროზე პატარკაციშიღლის ამბიცია იყო – ყოფილიყო შევარდნაძის წინააღმდეგ. ეს იყო 2003 წელს. როდესაც თვითონ აცხადებს, რომ „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ და „ანაღ-მემარჯვენეებს“ ანუ თბოზიციურ ძალებს აფინანსებდა, კარგად გამოგეთ, რა, მაშინ არ იყო პატარკაციშიღლი მდიდარი კაცი? „ოლიგარქი“ – მასზე შეუფერებელია, იმიტომ, რომ ოლიგარქი სიმდიდრისა და ხელისუფლების შერწყმას და ამ გზით ნაშოვნ ფულს გულისხმობს. პატარკაციშიღლი არც რუსეთის სინამდვილეში ყოფილა დიდ თანამდებობებზე. რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არის, რომ ის პირველი მილიონერები, რომლებიც განდნენ რუსეთში და ბევრს მსგავსს ქვეყანაში, ეს ნამდვილად არ არის ის თაობა ბიზნესმენების, რომლებმაც ასე ვთქვათ, წესიერი გზით იშოვეს ფული. მაგრამ ასე იყო მთელ მსოფლიოში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება – ეს არსად მომხდარა სუფთა ხელებით. ასე რომ, ბადრი პატარკაციშიღლისგან ნუ გამოვიყვანთ ღმერთს და რაღაც

ჯადოქარს, თითქოს სული ააქნია, მილიონები დახარჯა და ხალხი შეკრიბა. მაშინ უნდა ვთქვათ, რომ პატარკაციშიღმა ასევე სული შეუწყო „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ გამარჯვებაში. ჩემთვის ახლა გახდა ცნობილი (აქამდე არ ვიცოდი), რომ „რეფორმების და განვითარების ფონდში“, რომლითაც მთავრობის წარმომადგენლები იღებდნენ სულფასს, სოროსისა და სხვადასხვა საერთაშორისო დონორების გარდა, ერთ-ერთი დონორი ბიზნესმენი პატარკაციშიგილიც ყოფილა, ანუ პატარკაციშიგილი ამ მთავრობასაც აფინანსებდა. კარგად გამიგეთ, მე ნამდვილად არ მესმის, რატომ იყო ბადრი პატარკაციშიგილი 4 წლის წინ სელისუფლებისთვის მისაღები და რატომ არ არის დღეს. უფრო მეტიც: ნუ ვახდენთ მისი პიროვნების დემონიზაციას. ეს დემონიზაცია, სამწუხაროდ, ხდება საპარლამენტო უპრაგუესობის ლიდერების, მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან. მათ უნდათ, რომ პატარკაციშიგილი რაღაც შავ-ბნელი პირი გამოიყვანონ. საერთოდ, თავი დაგანებთ გმირების შექმნას. საქართველოს სელოვნურად შექმნილი გმირები არ სჭირდება. ვფიქრობ, პატარკაციშიგილის სახელთან დაკავშირებული იმ წარწერების გამოფენა, რომელიც რუსთაველზეა, აქციაზე მისული ხალხის შეურაცხყოფას იწვევს. ეს ჩვენი რიგითი მოქალაქეები იმდენად შორს არიან ბადრი პატარკაციშიგილისგან, რომ შეიძლება არც კი ესმოდეთ, რატომ უწოდებენ მათ ამას.

– *ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის გამოსვლას და თქვენი აზრით, რატომ აიძრია მიმართვის ეს ფორმა და რაშენად მართალია ობოზიცია, როცა აცხადებს, რომ სააკაშივილი არაადეკვატურია?*

– მე ადრეც ვთვლიდი და ახლაც მიმაჩნია, რომ სააკაშივილი არაორდინალური პიროვნებაა და ჩვეულებრივი ადამიანი რასაც ტვინავს, სააკაშივილს შესაძლებლობა აქვს, დაინახოს საკითხები ცოტა სხვა კუთხით. რომ არა ეს, არც „ვარდების რევოლუცია“ შედგებოდა 2003 წელს და არც აჭარის მაისის რევოლუცია არ იქნებოდა. იმიტომ, რომ მაშინ სააკაშივილმა მართლაც არაორდინალური გადაწყვეტილება მიიღო. ანუ მან შეძლო ის, რასაც ჩვეულებრივი ადამიანები ვერ წარმოვიდგენდით. რაც შეეხება პრეზიდენტის გუშინდელ გამოსვლას, მე ერთ რამეს მინდა მივაქციო ყურადღება. სხვა გამოსვლებიდან განსხვავებით, სააკაშივილი შეეცადა აერხია მშვიდი ტონი. მაგრამ

მიუხედავად ამისა, რამდენიმე შეცდომა მის გამოსვლაში მაინც იქნა დაშვებული. შეცდომა არ იქნებოდა სხვა ვითარებაში, ანუ პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლა უფრო შეესაბამებოდა იმ მშვიდ ვითარებას, როდესაც ის ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტს აძლევს წინასწარ დაპროგრამებულ ინტერვიუს. ეს იყო ჩვეულებრივად აღქმული და ამ ფონზე ნამდვილად ჩვეულებრივად აღქმადი დარჩებოდა. მაგრამ როდესაც ქუჩაში დგას და იყინება ძალიან ბევრი ადამიანი, ეს გამოსვლა, რა თქმა უნდა, იმ მოვლენების შესატყვისი არ იყო, რაც ქუჩაში მიმდინარეობდა. ეს, ჩემი აზრით, ყველაზე გულსატკეპნი იყო. პრეზიდენტმა ილაპარაკა წარმატებებზე. მან ასევე თქვა, რომ გარკვეული შეცდომებიც არის დაშვებული. მაგრამ ხალხი პრეზიდენტისგან სხვა რაქს ელოდა. ხალხი ელოდა იმის მოსმენას, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა პრეზიდენტი იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რაც მათ დააყენეს. პრეზიდენტმა ჩამოთვალა თავისი არგუმენტები, რატომ არ უნდა ჩატარდეს არჩევნები განაფხულზე და რატომ არის არჩევნები შემოდგომაზე. რა არგუმენტები, რაც პრეზიდენტმა თქვა – ახლა მოდის კოსოვოს აღიარება-არაღიარების საკითხი; მოდის რუსეთში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ საქართველო ამ პერიოდს ასე ქუჩაში მდგარი არ უნდა შეხვდეს. ხალხი უნდა დაუბრუნდეს თავის სახლებს, თავის სამსახურებს, რუსთაველი უნდა დაიკალოს, პარლამენტსაც უნდა მიეცეს მშვიდად მუშაობის გაგრძელების საშუალება. ეს ყველაფერი რომ მოხდეს, არის ერთადერთი გზა. ყველაზე მთავარი მოთხოვნა რაც არის, მიმაჩნია, რომ მთავარი მოთხოვნა არის პარლამენტის არჩევნების დანიშვნა, ეს გადაწყვეტილება არის მისაღები. და რა არის ეს? – ეს არის ჩვეულებრივი დემოკრატიული განვითარება. ეს კატასტროფად არსად არ აღიქმება.

– ანუ თქვენ, მმართველი ფრაქციის წევრი მიიჩნევთ, რომ აპრილში არჩევნების დანიშვნა სამართლიანი მოთხოვნაა?

– მოდით, დავაწესტოთ, ჩემი უპრაფლესობის წევრობა აქამდეც ალბათ დიდად დატვირთული არ იყო თავისი შინაარსით. ახლა საერთოდ აზრსაც კარგავს. რაც შეეხება იმას, არის თუ არა სამართლიანი ეს მოთხოვნა, დაფუძვით, სამართლიანი არ არის. როგორ შევიყვანოთ ეს ხალხი უკან სახლებში, რა, ჯონი ვურტყათ? ის კარგია, რომ გუშინ ვიღაც პროფოკატორმა, ვიმედოვნებ, რომ ეს

მანც სელისუფლებასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული, იმიტომ, რომ ეს სელისუფლებას არანაირად არ აწყობს? ვიღაც პროფოკატორმა აქციის მონაწილეებთან მიიტანა მოწამლული ღვინო. რა გარანტია გვაქვს, რომ სვალ კიდევ ვიღაც სხვა პროფოკატორი რაღაცას არ მოიმოქმედებს. კარგია, რომ ვიღაც არ დაიღუპა, იპკუნნალებს და გადარჩება. სომ შეიძლება, ისეთი რამ მოხდეს, არც მას მთელი ცნოვრება პრობლემად გაჰყვება. ამიტომ მიძაჩნია, სწორედ ამიტომაც არის საჭირო, რომ პროფოკატორებს არ მიეცეთ ცუდი ზრახვების სისრულეში მოყვანის საშუალება. ამიტომ არის საჭირო მანიფესტაციები, რაც შეიძლება ძალე იქნეს შეწყვეტილი და გადავიდეს ჩვეულებრივ ფორმატში, ანუ დაპირისპირება იყოს არა იმ შეძახილებით, რაც გვესმის, არამედ იყოს წინასაარჩევნო კამპანიაში. ამიტომ დღეს ლაპარაკი იმაზე კი არ არის, ვინ არის მართალი და ვინ არა, დღეს საჭიროა იმ ცეცხლის ჩაქრობა, რომელიც ქვეყანაშია.

– *ანუ თქვენ პირადად მხარს უჭერთ არჩევნების გაზაფხულზე ჩატარებას?*

– მე მხარს ვუჭერ არჩევნების გაზაფხულზე დანიშვნას. ამავე დროს მინდა დავაფიქსირო ჩემი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ არც ერთ შემთხვევაში არ ვუჭერ მხარს იმ განცხადებას, რომელიც მოითხოვს მინილ სააკაგშილის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომას. იმიტომ, რომ ნამდვილად არ მინდა განმეორდეს ის, რაც 1991-92 წლებში იყო. მე საერთოდ გამოვრიცხავ ამ სცენარს. ეს ერთი, მეორე – სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გვექნება საპარლამენტო არჩევნები, საპრეზიდენტო არჩევნებიც უნდა ჩატარდეს კონსტიტუციურ ვადებში. თუ ჩვენ ვითხოვთ კონსტიტუციურ ვადებს საპარლამენტო არჩევნების, ასევე კონსტიტუციურ ვადებში უნდა ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნებიც. ის, რომ საპარლამენტო არჩევნების პროცესში სააკაგშილი თავის ფუნქციას შეასრულებს, არის სტაბილურობის გარანტია. ამას ვიძახი ვუღახდილად. იმიტომ, რომ აქ მნიშვნელობა არ აქვს, ვის მოსწონს სააკაგშილი და ვის არა. დღეს მთავარი მოთხოვნა არის პარლამენტის არჩევნების აპრილში დანიშვნა. აშკარაა, რომ ოპოზიციიდან არის კონსტრუქციული განწყობა და ჯერჯერობით ისინი სიტუაციას აკონტროლებენ.

– რა აზრის ხართ ამ საკითხების რეფერენდუმის შედეგებით მოგვარებაზე? ამ ინიციატივით „ახალი მემარჯვენეები“ გამოვიდნენ.

– მე ყველაფერს მივესალმები, რაც ქვეყანაში არსებულ ვითარებას განმუხტავს.

– ამას ამბობთ, როგორც უმრავლესობის წევრი?

– ამას ვამბობ, როგორც ლადო პაპავა.

– გამოირიცხავეთ, რომ ხვალ რომელიმე მოწინავე ნაციონალი გამოვა და არ გამოაცხადებს, პაპავა ერთი თვის წინ ვაფრიცხეთ უმრავლესობის ფრაქციიდანო?

– შეიძლება გავიგო, რომ ერთი თვის წინ გამრიცხეს, როგორც გუგული მაღრაძესთან დაკავშირებით მოხდა, იმიტომ, რომ კარგა ხანია სსდომებს არ დავსწრებივარ, მაგრამ ეს არის ფორმალობა. მოგესვენებათ, უმრავლესობაში ყოფნას ჩემთვის სული არ შეუშლია ჩემი პოზიცია ცალსახად დამეფიქსირებინა. დღესაც ღიად ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას და იგივე გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით დავაფიქსირე. რაც შეეხება ჩემს ფრაქციაში ყოფნას, ეს ტექნიკური საკითხია.

– თქვენს მსგავსად უმრავლესობის რომელიმე წევრიც ფიქრობს, რომ არჩევნები გაზაფხულზე უნდა ჩატარდეს?

– არ ვიცი. მე ჩემს გადაწყვეტილებებს არავისთან ვათანხმებ.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ეს საპროტესტო ტალღა რუსეთის მხრიდან მართული?

– მე შემიძლია ვითხრა, რომ რუსეთის მხრიდან მთელი რიგი მომენტები შეიძლება იყოს მართული. რუსეთს აწყობს, ის რაც საქართველოში სდება. მაგრამ თქმა იმისა, რომ ქართველი ხალხი გამოიყვანა რუსეთმა, მართებულად არ

მიძაჩნია. მაშინ გკითხავთ, თაბუკაშვილის ქუჩაზე სახლი რუსებმა დაანგრიეს? სპორტის აკადემიის შენობა რუსებმა დაცალეს? ქონება, რომელიც ხალხს აბსოლუტურად დანაშაულებრივი გზით ჩამოართვეს, ესეც რუსებმა გაგვიკუთეს? საღარო-აპარატები რუსებმა შექოილეს? გირგვლიანი, რობაქიძე და სხვა ანაღვანდები რუსებმა დანოცეს? რუსეთის მოწყობილი სასამართლოები იყო ის ფარსი, რაც ამ პროცესებთან დაკავშირებით გაიმართა? კარგით, რა... ვიცი, რომ რუსეთს საკმაოდ დიდი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დღეს საქართველოში პრიორუსული ძალა არ არის პოლიტიკურად გადაძვრული. შეიძლება ასეთი ერთი-ორი კანტიკუნტად არსებობდეს, მაგრამ საქართველოში იმდენად ანტირუსული განწყობაა, რომ ვერ დავიჯერებ, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, რუსეთის გაკუთებულია. ეს ნომ ამ მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომებია. და სწორედ ამან გამოიწვია ხალხის ქუჩაში გამოყვანა. თუშეცა, რუსეთის მთავრობა ამ ფაქტით ზეიმობს. ამავე დროს, რუსები იმასაც აცნობიერებენ, რომ ვინც არ უნდა მოვიდეს საბაკაშვილის მთავრობის შემცვლელად, ის პრიორუსული მაინც არ იქნება.

– დაბოლოს, რას იტყვით განათლების მინისტრის მიერ გაკუთებულ შეფასებებზე და იმაზე, რომ ლომაია დაასწრო პრეზიდენტს გამოსვლა და სოციალური რეფორმის აუცილებლობაზე ისაუბრა?

– ლომაია ნშირად გამოდის განცხადებებით სწავდასწავა მოგლენების დროს და თავის კომპეტენციას სცილდება. თუ სოციალურ სფეროში რეფორმებია ჩასატარებელი, ამ სფეროს თავისი მინისტრი ჰყავს და თუ საჭიროა, ამაზე ის ისაუბრებს. სწავთა შორის, ეს მინისტრი კარგი ორატორული ნიჭითაც არის დაჯილდოვებული, მაგრამ ლომაიას მხრიდან ეს გასაკვირი არ არის, რადგან მას ნშირად ისეთი განცხადებები გაუკუთებია, რომელიც აშკარად სცილდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის უფლებამოსილებას.

შორენა კოწოწაშვილი